22 138
1908.

ნაკადული № 12

КАВКАЗСКАЯ ПУБЛИЧНАЯ БИБЛИОТЕКА
№ 4700
ЦЕНТР. БЛАГОТ.

ხალხური კალენდარი

ერი
მცირე
ბავშვისა ბაღჩისა
წლოვანთათვის.

ტფილისი
1908

Совѣтомъ Попечителя Кавказскаго Учебнаго Округа отъ 17 Апрѣля 1910г. допущена къ выпискѣ въ ученическія библіотеки.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I— მამის წერილი.— (დეკანი) ილსაშვილისა 3

II— მფრინავი ბურთები.— ნინო ნაკაშიძისა 4

III— ბავშვების მეგობრები.- (ოარგმანი) ი. ჩხეიკვაძისა . . 9

IV— ზოგი ჭირი მარგებელია.—(ფანტასტიური ზღაპარი ექვს სურათად, ოარგმანი) ნიკოსი 12

V— ნამგალა.— დ. ყიფიანისა 19

VI— გასართობი.— ა) გლეხის გოგონა, (ინგლისურით გადმოკეთებული), — ბ) გამოცანა, — გ) რებუსები და ალნა 23

საუმაწვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის

Отд. III
№ отд.
ეროვნული ბიბლიოთეკა
Библиотека Грузинского Нац. Музея

წელიწადი მე-IV. № 12 ივნისი 1908 წ.

05
6-22.

ტფილისი, ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

I—მამის წერილი.—(დეკქსი) ალსამნისა 3

II—მფრინავი ბურთები.—ნინო ნაკაშიძისა 4

III—ბავშვების მეგობრები. (ორგმანი) ი. ჩხეიკვაძისა . . 9

IV—ზოგი ჭირი მარგებელია.—(ფანტასტიკური ზღაპარი ექვს სურათად, ორგმანი) ნიკოსი 12

V—ნამგალა.—ლ. ყიფიანისა 19

VI—გასართობი.—ა) გლეხის გოგონა, (ანგლისურით გადმოკეთებული), — ბ) გამოცანა, — გ) რებუსები და ალნა 23

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მამის წერილი

ხანამ ჩამოვა შენი მამილო—
არ მოიწყინო, მვირფასო შვილო!
მომიკითხეი დედა, თანდილა,
კარგად არის-თქო, უთხარი, ტკბილო,

—

მოვალ, მოგიტან წითელსა კაბას,
აღარ ისურვებ, შვილო, გახდასა;
მხოლოდ ამას გთხოვ, არ დამიღონდე,
ეოჩადად იეავ, შენსა გაზრდასა!

—

ტკბილ ფორთოხალსაც ვინახავ შენთვის,
კამფეტს მოგიტან ქუჩქუჩელასა;
ბევრი გექნება, სხვას თუ არ ჭქონდეს,
უწილადებდე, შვილო ფველასა.

ალსამანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

მფრინავი ბურთები

ერთ დედას სამი შვილი ჰყავდა: კოტე, მაკა და დიომიდე.

ერთხელ დედამ სამივენი სასეირნოდ წაიყვანა. გზაში მფრინავი ბურთები უყიდა და სამივენი ძალიან გახარებულნი იყვნენ. დიომიდემ და მაკამ მაშინვე ტანისამოსის ღილზე მოიბეს და ისე შესცქეროდნენ ფრიალა წითელ ბურთებს. კოტეს კი ხელით მიჭყონდა და ათამაშებდა: ხან აუშვებდა, ხან დაუშვებდა და ხარხარებდა.

შევიდნენ თუ არა ბაღში, მრავალი ბავშვები შემოეხვიენ გარს.

— აჰ, რა მშვენიერი ბურთებია!

— რა წითელია, როგორ ფრინავს!

— აბა, ერთი შეც მომეცი, დავიჭირო ცოტა ხანს.—ეუბნებოდნენ ჰაწია გოგო-ბიჭები კოტეს.

— დაიცათ, დაიცათ, უყურეთ, როგორ მაღლა-მაღლა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის! აჭა, აჭა!—იძახდა კოტე. მან მოჭიდა ძაფის ბოლოს ხელი, ფეხის თითებზე შედგა და აუშვა ძალლა. ბურთი მშვენიერად ქანაობდა. ბავშვები ჰირდაღებულები შესცქეროდნენ.

— აი, რა წითელია, რა ლამაზია! დედამ მიყიდა... აი მე კიდევ უფრო ძალლა შევხტები...

კოტე უფრო და უფრო ცმუკავდა, ხტებოდა, ცდილობდა ყველას ენახა იმის მშვენიერი ბურთის ფრენა, მაგრამ დახე უბედურებას... ძაფის ბოლო ხელიდან გაუსხლტა.

— ვაი, ბურთი გაფრინდა, გაფრინდა!.—შეჭღრიალა კოტემ და რაც ძალი და ღონე ჭქონდა, ხტებოდა და იწყმედა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს დასაჭერად. ბურთი კი სწრაფად მიფრინავდა ჰაერში მაღლა-მაღლა...

— ოო, როგორ მიფრინავს... ალვის ხეს ასცილდა... როგორ ქანაობს...

— ძაფი რა ჰაწია კუდივით მოჩანს...—იცინოდნენ ბავშვები, ხარხარებდნენ და ხტუნაობითა და ტაშის კვრით შესცქეროდნენ ჰაერში ბურთს.

კოტე კი ტიროდა: ცრემლები ღაპაღუპით გადმოსდიოდა.

— ჩემი ბურთი, ჩემი წითელი ბურთი გამიფრინდა,— იძახდა გულ-ამოჯდარი და ეზეოდა დედას კისერზე.

დედას ეცინებოდა, მაგრამ შვილის ცრემლებს რომ ხედავდა, თითონაც თვალები ეცრემლებოდა.

— ნუ ტირი, გენაცვალოს დედა, კიდევ გიყიდი... აი, გაიხედე, როგორ დაფრინავენ ჩიტები, აი, იქით აი, ბალახებში!.

კოტემ გაიხედა და უცებ, თითქოს წვიმიან დღეს მზემ გამოძუქო, გაიცინა და გაიქცა ჩიტებისაკენ.

როცა ბავშვებმა თამაშობით გული იჯერეს, შინისაკენ წამოვიდნენ. წინ მხიარულად მაკა და დიომიდე მიდიოდნენ. ორიეფს, ღილზე მიმაგრებული ბურთი ცხვირის ჰირდაპირ უფრიალებდა. კოტე კი დედას ჩაჰკიდებოდა ხელში.

— აი, ჩვენ როგორ ჭკვიანად მოვიქეცით: ღილებზე მოვიებით. კოტემ რომ არ დაიჯერა, აღარა აქვს ბურთი,—სთქვა მაკამ და დასწია ბურთი, რომ ერთხელ კიდევ დაეთვალიერებინა.

სწორედ ამ დროს იმათ გვერდით სწრაფი ნაბიჯით რძის მზიდავი ქალი მიდიოდა. ხელში რძის ჭრიალა თუნგი ეჭირა და სადღაც მიეჩქარებოდა. მაკამ რომ ბურთი დასწია, ატაკა თუნგს და ბურთი უცებ დაიკარგა.

— ვაიმე, ბურთი, ბურთი!.—დაიღრიალა მაკამ და სტაცა კაბაში ქალს ხელი,—ამომეცი ჩემი ბურთი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაპატიე, შენი ჭირიმე, უცებ დამემართა,—ეუბნებოდა მერძეკვე.

— არა, ამოიღე ჩქარა, შიგ არის შიგ...

— სად, სად?..

— თუნგში ჩავარდა, მე დავინახე ამოიღე, ამოიღე...— ტიროდა მაკა.

შეგროვილი ხალხი იცინოდა.

— არა, გინაცვალოს დედა, შიგ არ ჩავარდნილა. შენი ბურთი გასკდა... მაგაში კი რძე აქვს...—ეხვეოდა დედა მაკას.

— არა, არა, შიგ არის...

— აი, აი ნახე, რძეა,—უთხრა ქალმა და თუნუქის ფინჯანში რძე გადმოასხა.

— შეჭხედე, რა შშვენიერი რძეა. შენ ხომ გწუწროდა, ოდი, დღლიე.—უთხრა დედამ,—ბურთს კიდევ გიეიდი...

მაკას ატირებულ სახეზე სიხარულმა გამოაშუქა. რძე ძალიან უყვარდა და სიამოვნებით დალია.

ეველანი გაუდგნენ შინისაკენ გზას.

გაუღეს თუ არა სახლის კარები, დიომიდე სასწრაფოდ გაქანდა ეზირილით:

— მამა, მამილო, ნახე... აი მე... კოტეს გაუფრინდა... მამილო... მაკას დაეკარგა... იტირეს, იტირეს... აი მე რა შმეეფიერი ბურთი მაქვს...—მივარდა ის ძმას, რომელიც მაგიდასთან იჯდა და სწერდა,—მამა, აი, შეჭხედე, ზედ ცხენია... მამალი... და რომ კარგად დაენახვებინა, ორივე ხელი სტკიცა ბურთს და... ბურთი გაქრა...

— აჭ,—სთქვა დიომიდემ, მიიხედ მოიხედა და შეგარდა მაგიდის ქვეშ, შემდეგ სკამ ქვეშ, საკარმელ ქვეშ. ბურთი არსად იყო. მამა კი ხარხარებდა:

— ხა, ხა—ხა, ხა—ხა—ხა,—იჭერდა ის ხელებს გვერდებზე,—ბიჭო, გასკდა შენი ბურთი, გასკდა, ნუ ეშინ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვაიმე, ჩემი ბურთი, რადა ვქნა, სად არის ჩემი ბურთი?!..—დრიალებდა დიომიდე, და თუმცა არწმუნებდა მამა, შენი ბურთი აი ეს ძაფზე შერჩენილი ბაწია ტეკვი არისო, დიომიდეს არ სჯეროდა და მაინც ეძებდა.

— ის წითელი იყო... რგვალი... ცხენი იყო ზედ... მაძალი.—ამბობდა დიომიდე ქვითინით,—და ეს რა არის!.. ეს რადაც, სიძაგელი ტეკვია...

— კარგი, გენაცვალოს დედა,—უთხრა ამ დროს შემოსულმა დედამ, და ჩაიკრა დიომიდე გულში,—კიდევ გიყიდი, შენი ჭირიმე... ახლა შეიხედე იქით, მამას რა უკიდია ჩვენთვის სადილად.

— აჰ,— შესძახა დიომიდემ, თუმცა თვალებიდან ცრემლები კიდევ სცვივოდა, სანამ სიცილით გაუბრწყინდა: სასადილო ოთახში მაგიდაზე, ბროლის ლანგარზე დალაგებული წითელი ვაშლები დაინახა და იქითკენ გაიქცა.

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბავშვების მეგობრები

(თარგმანი)

I

ველგან არა სწვდებოდა მთვარის შუქი. მარიამის ნესტიან ოთახში დიდი ხანია ჩამობნელებულიეო.

— რა უკუნეთია! ბუტბუტებდა ვასო, მარიამის ათი წლის შვილი, რომელიც მოკეცილი იჯდა ძველ დამტვრეულ ტახტზედ.

— ნეტავი ქუჩაში მაინც გავიდე!... ბავშვს უცბად მოაგონდა ამხანაგი მოწაფეები, ხმაურობა, სიცილი, გაეინული ხელები, გაწითლებული ლოყები, სანდროს დამტვრეული ცოცა და შაქროსაგან ნაბოვნი სათამაშო ცხენი.

— სამაგლებო! სულ თქვენი ბრალია!—დაიუკირა ვასომ და შეისუდა ტახტის ქვეშ, სადაც ძირ-გავარდნილი წუკილი წადა ეკარა.—რა საჭირო იყო, რომ გაცვდით და მოგვარდათ ძირები? აბა ეხლა ფეხშიშველი როგორღა წავალ სკოლაში? დედა-ჩემს რა უშავს! წაეა სამუშაოზედ და გაერთობა, ძე კი აქ უნდა ვეგდო ბაიეუშივით. რა ებები დაგიღიათ?!—დაიუკირა ვასომ, წამოვარდა ტახტიდან და ამოჰკრა ფეხი წადებს, რომლებიც ხმაურობით შეეარდნენ მეორე ტახტის ქვეშ.

გაბრაზებული ბავშვი მივიდა ფანჯარასთან; მშვენიერი საღამო იყო, ეინვა ძლიერდებოდა, მთვარე ოდნავ ანათებდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლს, სახლებს და ხეებს, ვარსკვლავები კი ბრწყინავდნენ და თითქო უცინოდნენ ვასოს. ვასომ ფანჯარას დაუწო კაკუნი და გაშტერებით უყურებდა მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილ ცას. გადიოდა დრო და უფრო და უფრო უმხიარულდებოდა გული ემაწვილს.

— რისთვის ვჯავრობ დედაზედ? ისეც ბევრს შრომობს, ფიქრობდა ვასო.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ ადვილი არ არის ზამთარში სარეცხის რეცხა და წყაროზედ დგომა... მე კი შინა ვზივარ, არაფერს არ ვაკეთებ და, როცა სკოლაში მივდივარ, ვზარმაცობ და ეველაზედ ცუდად მე ვსწავლობ.

ამ ფიქრებში იყო ვასო, რომ უცებ ცის ვარსკვლავი მოსწედა და გაქრა დაბის წვდიადში. ვასომ გულ-მხურვალედ გადიწერა ჯირ-ჯვარი.

— ვიდაც მოკვდა,—წაიჩურჩულა ვასომ.—მასწავლებელი კი გვეუბნება, ეს ტუილი არისო. ნეტავი ვიცოდე, რად არის რომ ზოგი ვარსკვლავი ფრინავს და ზოგი კი არა? ეოველ თვე მთვარე რისთვის იცვლება და ან დღე და დამე როგორ ჩნდება?..

— მერე ვინ კიშლის რომ ეველაფერი იცოდე,—წასჩურჩულა რაღაცა ხმამ,—ისწავლე და ეველაფერს გაიგებ!

— უნდა უეჭველად ვისწავლო! გადასწვიტა ვასომ და ისევ თავის თავს სიტყვა, რომ გულმოდგინედ მიუჯდებოდა გაკვეთილებს.

დაბრუნდა ვასოს დედა და რა ნახა: ვასოს სძინავს და იღიმება, ალბად კარგს სიზმარსა ჭხედავს. დედამ გახადა ტანისამოსი და ჩააწვინა ლოგინში.

II

იმავე სახლის მეორე სართულში მშვენივრად მოწყობილ დასაძინებელ ოთახში სიჩუმე იდგა. ძვირფას რბილ ლოგინში

იწვა მისუსტებული, ავადმყოფი ბავშვი,—ერთადერთი სავარელი შვილი ამ ოჯახისა. ავადმყოფის თბილ ოთახში ფარდები არ იყო ჩამოფარებული. ეს, როგორც ვახო, გაუმაძღრად უყურებდა ვარსკვლავებით მოჭედილს ცას.

— დედა,—ჩურჩულებს ბავშვი,—მე ვიცოცხლებ! ამ ვარსკვლავებმა მითხრეს. გუშინ თავისკენ მიწვევდნენ და მეუბნებოდნენ,—შენც ჩვენსავით გაანათებ ცასაო. მაგრამ მე უარი ვუთხარი, უჩემოდ ჩემი მშობლები ტირილს დაიწყებენ მეთქი. აგერ, შეხედე, ის დიდი ვარსკვლავი თავს გვიხრის, მაგრამ კი ადარ მეახის.

ბავშვი დაიღალა ლაპარაკით, თვალები დახუჭა და ამ საღამოს უფრო მოსვენებით ეძინა, ვიდრე წინედ.

ი. ჩხიკვაძე

(დასასრული იქნება)

დერეფი
1908

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგი ჭირი მარგებელია

ფანტასტიური პიესა ექვს სურათად

სიმღერებით, ცეკვით, ცოცხალი სურათებით და ეპოთეოზით.

(თარგმანი)

მოქმედნი პირნი

გიორგი თამარო ნინო	მეშამფურეს შვილები, რომლებიც ცხოვრობენ დაბურულ ტყის პირას.

კატო,—ტყისმცველის ქალი.—მფარველი ანგელოზი.—პეპელა. ციცინათელა.—გაზაფხული.—კურდღელი.—ჭინკები.—თოვლის ფიფქები სხვა და სხვა ყვავილები.

მოქმედება პირველი

(ოთახი)

გამოსვლა პირველი

(თამარო და გიორგი სწავლობენ. მაგიდაზე წიგნები და რვეულები აწყვია. თამარო რაღასაც სწერს. გიორგი სკამზე ზის, აქეთ-იქით იყურება და ამთქნარებს. თამარო სწერს და ხან და ხან ძმას გადახედავს.)

გიორგი. თამარო! ნუ თუ წიგნების კითხვა არ მოგწყინდა?

თამარო. ამ საათში გავათავებ, ცოტადა დამრჩა. ლექსებს გადავწერ და თავისუფალი ვიქნები.

გიორგი (გაკვირვებით) თავისუფალი იქნები? როდისღა მოასწარი გაკეთილების მომზადება?

თამარო. (ღიმილით) ძანამ შენ მთქნარებით ბუზებსა ხთვლიდი.

გიორგი. (წყენით) მე ბუზებს არა ვსთვლიდი. ესლა შემოდგომაა და შემოდგომაზე ბუზები არ არიან.

თამარო. (დაცინვით) მერე სად გაჭრნენ?

გიორგი. (მედიდურად) შესცივდათ და დაემინათ, სადაც მოხვდებოდათ: ზოგი კედელზედ ძიეკრა, ზოგი ჭერზედ. აი ხედავ ბუზს კუნჭულში სძინავს.

თამარო. (სიცილით) აი, შენ ბუზებსა სთვლიდი და მე კი იმ დროს გაკეთილებს ვამზადებდი. ესლა კი წავალ და სუფრას ვაგზლი. დროა. (თავის წიგნებს, რვეულებს აგროვებს, ჩანთაში ალაგებს და სიმღერით გადის): სწავლობს გიგლა ტიტინა,
მზემ შემოუჭეიტინა.
გიგლავ გეეოფა სწავლა... და სხვა.

გამოსვლა მეორე

გიორგი. (მარტო. ამთქნარებს) უ!! როგორ მომწყინდა გაკეთილები! დილიდან დაწყებული სადამოზედ სულ ისწავლეო და ისწავლეო! თავისუფალი დრო სრულებით არა მაქვს. სეირნობას ვეღარ ვასწრობ. დილით ადგა ვასწავლის, სადამოზე გაკეთილებს ვამზადებთ. ამდენი სწავლა მომბეზრდა! მომბეზრდა წიგნები! ეშმაკებსაც წაუღიათ! (სიბრაზით წიგნს იღებს და იატაკზე ანარცხებს) ჯანდაბასაც წასულხართ! (ადგება, აქეთ-იქით იყურება). წავიდე, სადილამდის სეირნობას მოვასწრობ. მხოლოდ ფრთხილად უნდა მოვიქცე. გაკეთილებს კი ხვალაც მოვამზადებ, ადრე ავდგები. (ფანჯრიდგან გადახტება).

გამოსვლა მესამე

(ნინო შემოდის. აქეთ-იქით იყურება)

ნინო.—ნეტა ვიცოდე, გიორგი სად წავიდა? ვეძებ, ვეძებ, და იმისი კვალიც კი ვერ ვიპოვნე. ალბად ტეეში გაიქცა (შეამჩნევს არეულ-დარეულ წიგნებს) რა ხარმაცია, წიგნებიც კი არ დაულაგებია! კარგია, დედამ არ დაინახა! უჩვენებდა იმას სეირს! (გიორგის ჩანთაში წიგნებს და რვეულებს აწყობს) წიგნი იატაკზედ დაუგდია! უეშკველია გაკეთილები ჩვეულისამებრ არ უსწავლია. არა რცხვენია! აგრე რომ ხარმაცობს, დედას აჯავრებს. წავიდე ვნახო, ბაღში ხომ არ არის. (გადის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

(ტყე).

გამოსვლა პირველი

ვიორვი (მარტო). იცით, რა დაძეძართა: სახლიდან გამოვიქეცი, ამ დაბურულ ტყეში შემოვედი. და ახლა კი გზა ვედარ გამიგნია შინისაკენ. არ ვიცი, გზა როგორ ამერია. (ჯირკვზე ჩამოჯდება) როგორ დავიღალე! სიშშილით კუჭი მეწვის. ჩვენებს ეხლა სადილი გათავებული ექნებათ. რა ქენა რა წელში ჩავარდე? ნუ თუ აქ მომისდება ძილი? (აძაგძაგებს) რა ცივა! თბილიც არა მაცვია რა, ჩაცმა ვერ მოვასწარი—მეშინოდა, დედამ არ დამიძახოს მეთქი! (იმედ გადაწყვეტით) რა ვქნა, რა? როგორ დავბრუნდე შინ? (პირზე ხელებს იფარებს და ტირის... პატარა ხანს უკან). რა საშიშია ეს ტყე... დადამდა... იქნება როგორმე გზა ვიპოვნო... (ადგება, და ძაგძაგით ორ ნაბიჯსა სდგამს). არა!.. არ შემიძლიან!. დაღალული ვარ... თავ-ბრუ მეხვევა... მშიან... წამოვწვე... დავიძინო... (ნაძვის ქვეშ წამოწვება. პატარა ხანს უკან. ძილში). დედილო... ეჭ!.. რად გამოგექეცი... დედილო... მიშველე... მიშველე... (ჩაეძინება. მთვარე მთელ ტყეს აშუქებს).

გამოსვლა მეორე

მფარველი ანგელოზი. ჭინკები შემოდიან ჯგუფ-ჯგუფად და მღერიან. აქეთ-იქით დადიან, აგროვებენ ჩინჩხვარს და ხმელ ტოტებს. მერე ისევ შეგროვდებიან და განაგრძობენ სიმღერას. სიმღერას რომ გაათავებენ, მინდორს გარშემო უვლიან. ერთი ჭინკა შეჩერდება).

1. ჭინკა—ამხანაგებო! შედექით! უეცრეთ, აქ ვიღასაც ქუდი დაუგდია, (აიღებს გიორგის ქუდს და სინჯავს. ჭინკები შეგროვდებიან) მე ვიცი, ვისაც ეკუთვნის ეს ქუდი.

2. ჭინკა—მეც ვიცი! ერთმა ზარმაცმა და ცუდმა ბიჭმა დაჭკარგა, სახლიდგან გაიქცა და ტყეში დასეირნობდა.

3. ჭინკა—მე განგებ ამ ბნელ ტყეში შემოვიეანე.

ჭინკები (ერთხმად) ვაშა! ვაშა! ეოსად ბიჭო!

3. ჭინკა—ქვესკნელში ჩავითრიოთ!

4. ჭ ნკა.—ჩვენთვის ვამუშავოთ!

5. ჭ ნკა—სიზარმაცეს გადავაჩვიოთ!

6. ჭინკა—ეზლაც გაავავრებს თავის დედას!

7. ჭინკა. ბევრჯერ მოიგონებს თავის კარგს ცხოვრებას და დედის ალერსს!

8. ჭინკა—წერა-კითხვა მოუნდება და ჩვენ კი განგებ წიგნებს არ მივცემთ. ბრიყვი-რეგვენი გაიზრდება!

1. ჭინკა—ამხანაგებო! აბა მოვმეინოთ. აქ სადმე დაძალული იქნება.

ჭინკები (ერთხმად) ვიპოვნოთ! ვიპოვნოთ! თან წავიყვანოთ. (ეძებენ გიორგის. უცებ, ნაძვის ხესთან სადაც გიორგის სძინავს, მფარველი ანგელოზი გამოჩნდება ჭინკები შიშით ერთი ერთმანეთს ეკვრიან).

2. ჭინკა—(შიშით) აქ ვიდაც არის!

3. ჭინკა. თეთრ სამოსიანი. ფრთიანი.

4. ჭინკა. წავიდეთ აქედან! ეე მეშინია!

5. ჭინკა მეც მეშინია.

6. ჭინკა. წავიდეთ, მოვეორდეთ აქაურობას.

ინჭკები (ერთხმად) წავიდეთ! წავიდეთ (აქეთ იქით გარბიან).

ფარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მესამე

(ტყეში)

(გიორგი, თოვლის ფიფქები და კურდღელი. ხეები და მიწა თოვლით არის დაფარული. ნაძვის ქვეშ სძინავს გიორგის. ჯირკვზე მოშორებით კურდღელი ხის და თათებს აპარტყუნებს. თოვლის-ფიფქების გუნდი მღერის და თამაშობს).

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით *)
მოვალ, ეინვაც თან დამეკვება!
ჩემი სუსხით დამსჭვალული
საქონელიც ხშირად სწყვება.

ქვრივ-ობლისა და დარიბის
მე არა მაქვს სიბრალული!
ვაი, ეინც არ დამიხვდება
თბილ ოთახში ქურქ მოსხმული!

თოვლით, წვიმით და ქარიშხლით
მოვალ, სუსხიც თან დამეკვება,
ვაი იმას, ვისაც ჩემი
ისარი გულში ეცემა! (სიმღერას გაათავებენ, მიწაზედ დასხდებიან. ცოცხალი სურათი).

კურდღელი. (წინ წამოხტება) ეხლა კი ჩემი ჯერია. უნდა ვითამაშო და ვიმღერო. (გუნდი თოვლის ფიფქებისა. მღერის. კურდღელი ცეკვას იწყობს):

ჭე-რი-რა-და-ვაშა. კურდღელმა სთქვა, ჩირგვში ვზივარ. ჭეე.
ჭე-რი-რა-და-ვაშა. ვერ ვინ მოვა ჩემზედაო ჭე.**)
ჭე-რი-რა-და-ვაშა შეეიხედე სერზედაო ჭე.

კურდღელი. უჭ! მოვიქანცე... ეხლა ნაძვის ქვეშ ჩამოვჯდები!.. ეხლა თქვენ იმღერეთ და მე ეურს დაგიგდებთ. (ნაძვის ხეს

*) აკაკი.—**) ხალხური.

ხტომით მიუახლოვდება, სადაც ვიორგის სძინავს, და უცბად შეჰყვირებს):

ვაი! ვაი! შეჭხედეთ, აქ ვიდასაც სძინავს! ვაი! მეშინია, მეშინია! (ხტომით გარბის. თოვლის ფიფქები წამოხტებიან).

1 თოვლის ფიფქი. დებო! ფიფქებო! რაძ შეაშინა კურდღელი? შეჭხედეთ, ნაძვის ქვეშ ვიდაცა წევს!

2 თოვ. ფიფქ. ვიდაცა ბიჭია.

3 თ. ფიფქი. ალბად ის ბიჭია, რომელსაც გაკვეთილები არ უსწავლია და სახლიდან გაძოვარული.

4 თ. ფიფქი. უეჭველია ის იქნება.

5 თ. ფიფქი. მაგას გზა აებნა და სახლამდინ ვერ მიაღწია.

3 თ. ფიფქ. საცოდავი ამისი დედა! თავს იკლავს მაგის გულისთვის. ძეტი ტირილით თვალები დაუწითლდა.

5 თ. ფიფქი. რა კარგი დები ჰყავს. ისე ცდილობენ დედის დამშვიდებას...

6 თ. ფიფქი. ისინი კი ძალიან ბეჯითად სწავლობენ და სახლში დედასაც შველიან.

7 თ. ფიფქ. დებო! ფიფქებო! დაგესიოთ! გავეინოთ! რად ხარძაცობდა! რად აკაკრებდა დედას.

8 თ. ფიფქი. (ყველაზე პატარა) არა! არა დებო, ხელი არ ახლოთ. ძოდით, სახლში წაიყვანოთ.

7 თ. ფიფქი. ძაგას ეურს ნუ უგდებთ! მაგას ეველანი ებრალება (ფიფქები, ჯგუფად დაესხვიან გიორგის. უცბად გამოდის მფარველი ანგელოზი. და ჰფარამს მას).

1 თ. ფიფქი. ეს რა ამბაკია! სად დაიკარგა!

2 თ. ფიფქი. ალბად ჩვენი შეეშინდა და გაიქცა.

6 თ. ფიქრი. ბიჭი გაქცევას ვერ შესძლებდა, რადგანაც ეძინა.

7 თ. ფ ქრი. დებო! ფიფქებო! ბიჭს თავი დავანებოთ, ვიძლეროთ რაძე, ვიშხიარულოთ!

თოვლის-ფიფქები. (ერთხმად) ვიძლეროდ რაძე. ვიძლეროდ ვიოიამაჭოთ. (ცეკვას დაიწყებენ, მღერიან და ტრიალებენ სცენაზე) თოვლით, წვიმით და ქარიშხლით. და სხვა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედება მეოთხე

(სცენა წარმოადგენს პატარა გორაკს, რომელიც ჩამონაქცევით თავდება).

გამოსვლა პირველი

ვიორვი. (მარტო. გორაკის წვეროზე გამოჩნდება). რა საშინელი სიზმარი ვნახე... ვნახე ჭინკები, რომლებსაც ჩემი მოტაცება უნდოდათ, ქვესკნელში მიმაორეკდნენ.. თოვლის-ფიფქები.. იძახ ჩემი სიკვდილი უნდოდათ. დედილო! თაძარო! ნინო! ნუტავ რას აკეთებთ!.. ესლა?! რა რიგად მინდა თქვენთან ეოფნა!.. რა კარგად და ბედნიერად დავიწყებდი სწავლას! მე ვიცი... მე ძალრეძა ჩემი სიხარძაცისთვის დამსაჯა... ცუდად ვამზადებდი გაკვეთილებს.. მშობლის დარიგებას ეურს არ ვუგდებდი.. და უმეცველია გაზაფხულზედ სკოლაში არ მიმიღებდნენ.. შემოდგომას ქალაქში გადავსახლდებოდით. ეველაფერი კარგად იქნებოდა... უ!!!.. რა რიგად ცივა!.. რა რიგად მშიან!.. სახლში არასოდეს არ შემცივნია... ეოველთვის მაძღარი ვიყავი... ესლა კი... სიცივის და სიმშილის გამოისობით ძლივს-ღა დავდივარ... მეძინება... სრულიად არ მეძინა... (ჩამონაქცევის ნაპირთან წამოწვება და ჩაეძინება. თავზე მფარველი ანგელოზი დაადგება. ცოცხალი სურათი)

ფარდა-ნელ-ნელა ეშვება

ნიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამგალა

ოვი ფრინველი სულ არა გალობს, ზოგი-კი იმ სიმღერებს სწავლობს, რომლებსაც მშობლები უმღერიან, და სწორედ ისე გალობს, როგორც მისი მასწავლებელნი. სხვები კი ამას არ კმარობენ და ცდილობენ სხვებისგანაც გადაიღონ კილო. აძისთანა ფრინველებს მბაძავს ეძახიან.

ჩვენ ტყეების ფრინველთა შორის სხვაზე კარგად კილოს ჩხართვი და კაჭკაჭი იღებენ. მაგრამ ძალიან დახელოვნებული რამ არის ამ საქმეში ნამგალა, რომელიც ამერიკაში ცხოვრობს. ეს ნამგალა სიმაღლით ერთი მტკაველი იქნება, ზურგი ნაცრისა და მიხაკის ფერისა აქვს, ქვეით-კი თეთრია. ზამთრობით ამერიკის უფრო თბილ მხარეებისკენ მიეძგზავრება, ხოლო ზაფხულობით ისევ თავის საყვარელ ადგილებს უბრუნდება. ბინას სადმე ადგილსა და ეკლიან ბუჩქებში იდებს, ხნდა-ხან ბადშიაც. ადამიანისა არ ეშინიან. დაუდალავად ტკბილად გალობს, მაგრამ ხან-და-ხან უცბად შესწყვეტს და ქათამივით აკაკანდება. შემდეგ ისევ ნაზად ბაშვისებურად დაიწყებს გალობას. ჯერ ნახეგარიც არ გაუთავებია ამ სიმღერისა, რომ აფრთხიალდება და მამალივით დაიეიეკლებს, მაგრამ ისე მიმსგავსებულად, რომ მეზობლის მამალს ჭკონია, ჩემს სამფლობელოში სხვა მამალი შემოფრენილა-ო და საჩხუბრად მოეშურება. მამალი რომ ასე ვინულზედ გააცურა, ნამგალამ ტკბილი, ომიზიბლავი ხმები გამოსცა, სწორედ ის ხმები, რომ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითაც ერთმანეთს ჰატარა ტეის მომდერალი ჩიტები ეწუწუ-კებიან. ამ ხმაზედ მრავალი მგალობელი მოგროვდა, მაგრამ დახეთ იმათ გაკვირვებას —თავიანთ მეგობრის მაგივრად ნამგა-ლას კი წაყოდნენ. ისინიც ცდილობენ სამაგიერო გადაუხა-დონ, მაგრამ ჩვენი ეშმაკი უცბად მერანავით დაიჩხავლებს და შეშინებული ჩიტები აქეთ-იქეთ მიიძალებიან: ზოგი ჩირკვებში, ზოგი ფოთლებში ეძალება სამინელს მტერს, ხოლო ეს უგანა-სვნელი, თითქოს აქ არაფერიაო, ახლა ბულბულის ჭანგებზე დასტვენს.

გაბარებული მგზავრი სიამოვნებით ეურს უგდებს მომხი-ბლავ სტვენას.

„უჭ-ბერ-უიჭ“! წამოიკივლებს უეცრივ ნამგალა სწორედ ისეთი ერუ და უსიამოვნო ხმით, როგორც საზოგადოდ ვირ-კინელი ბუები გაჭკივიან.

ჭიშკართან მურას სძინავს. უცებ ნამგალამ ისე დაუსტ-ვინა, როგორც მისი ჰატრონი დაუსტვენს ხოლმე. ძალი-ფეხზე წამოხტა, უნდა ჰატრონისკენ გაიქცეს, მაგრამ არაფინა ჩანს, ნამგალა კი ამასაც არ კმარობს, კატასავით კნავის და მურას აღიზიანებს.

აეგრ ერუხი თავის წიწილებით დაეუჯულა და მზეზე თბება. უცბად მოისმის საცოდავი ხმა წიწილის წივილისა, თითქოს ძერას ან ქორს კლანჭებში მოჭყოლოდეს. ერუხი შეშფოთდა, ბუმბული აიფხორა და იქით ეარბის, საიდგანაც წიკილი მოისმის, მაგრამ სად ვინ არის? ჩვენი ნამგალა კი, ვითომც აქ არაფერიაო, ბუჩქზე წამოსკუპულა და ჰატრონისა-გან ნასწავლ სიმღერას გასძახის, ან საჰონ წაუსმელ ურმის თვალივით ღრიჭინებს.

მონადირესაც დასცინის, აჯავრებს, რადგანაც ისეთ, ფრი-ნველების კილოზე დაიწყებს ჭიკჭიკს, რომელნიც იმ არე-ძარეში არც კი მოიჰოვებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატარა ფრინველების მოსწყვინდებათ ხოლმე ეს მუდმივი დაცინვა, და სხვაგან მიფრინავენ. ჩვენ ნამგალასაც ეს უნდა!

მალე ბუჩქებსა ნაეოფი დაიწიფდება. ყველა მას და მის შვილებს დარჩება, რომელნიც ჯერ კიდევ ბუდეში სხედან, ვიდარავინ მოსტაცებს ცხვირ წინ ჭიას ან ბუზს და სხვა მწერებს: ყველანი ვარეკა თავის საძოვლობელოდგან უწხუბრად, მარტო თავის მოსერსებით. თავის შვილებს ნამგალა მეტის მეტ მხრუნველობას უწევს; არაფერს არ მოერიდება, როდესაც მათ გასაჭირი დადგება და მისი მფარველობა საჭირო ხდება. უფრთხილდი, ციცუნია! არ გაბედო ბუჩქებისაკენ ჩიტების დასაჭერად გასეირნება! ნამგალა ეოველთვის მზად არის საოერად; ისარივით სწრაფად დაეტაკება მტერს; ტაკ!—შემოჭერა ფრთა კატას ეურში; გაბრაზებული საჩქაროდ მოტრიალდება, უნდა სალმაციერო გადაუსადოს გამბედავ შვილების მფარველს, მაგრამ ნისკარტს თვალში ჩაჭერავს და შეშინებული კატა უკანვე გარბის.

ამერიკაში ჩიტის ბარტყებს მუსრს ავლებს შავი გველი. მან კარგად იცის, თუ სად იმეოფება ფრინველების ბუდეები. ტოტებს შემოეხვევა, ზვეით აცოცდება და საცოდავ ბარტყებს ჭელაბავს. გემრიელ საუზმის შემდეგ, იქვე ცარიელსა და თბილ ბუდეში ჩაწვება, და საწყალი მშობლები თავიანთ შვილების მაგივრად ბუდეში თავის მოსისხარ მტერს წააწყდებიან ხოლმე. ჩვენს მოსერსებულ ნამგალას კი შავი გველი ასე ადვილად ვერაფერს დააკლებს: როგორც დაინახავს წამოვარდება მაძალი ნამგალა აუწერელი სისწრაფით დასტრიალებს თავის მტერს და ბენისაგან მოსერსებულად თავს იცავს. ერთი წამის განძავალობაში ეველს უკვე რამდენჯერმე გაჭერა ფრთა და თავში ნისკარტი ჩაჭერა. ეველი სცდილობს მის დაჭერას, მაგრამ ამაოდ. ნამგალა კი უფრო და უფრო ფრთასა სცემს, ნისკარტს უკაუნებს და მისუსტებული ეველ ცდილობს უკა-

ნვე დაბრუნდეს, და თავს უშველოს და უკეთეს დროს მოუცადოს, როდესაც ფრინველი ბუდეს მოშორდება. ძაგრამ ნამგალა განზრახვას მიუხვდა: როგორც კი გველი გატრიალდება, მით უფრო მეტის სიცხარით მიაქვს ნამგალას იერიში: ნისკარტს უფრო და უფრო უკაკუნებს თავში. ბოლოს გველი უგრძნობლად ძირს ეცემა. ნამგალა ჭკლავს თავის მტერს, გაძარჯვებული უბრუნდება იგი თავის ბუდეს, ბუჩქის მწვერვალზე ჯდება და საამური, მომხიბლავი ხმით ქებათა ქებას ასხამს ფრინველთა მტერზე გაძარჯვებას.

ამ გაძარჯვებით მას სარგებლობა მოაქვს არა მარტო თავისათვის, არამედ სხვა ჰატარა ფრინველებისათვისაც: მისი წყალობით ისინიც უშიშრად ხრდიან თავიანთ ბარტყებს.

დ. ყიფიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხის გოგონა

(ინგლისურით გადმოკეთებული)

ღარიბი გლეხის გოგო ერთხელ სოფელში საგარაკოდ ჩასულ მდიდარ ბავშვს ესტუმრა. ბავშვის მშობლები სადილად სხდებოდნენ და გოგონაც მიიწვიეს. გოგონას გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა ნახა, რომ სადილად ოთხი, სხვადა სხვა ნაირი, საჭმელი მოიტანეს. იმის ოჯახში ეოველთვის მხოლოდ ერთ თავ რასმე სჭამდნენ: ლობიოს, ეკეკლს, ან კიდევ სახვს, სანდიასხან ცარიელა ჰურს, ოღონდ წყალს შეატანდნენ.

როცა ნასადილევს გოგონა შინ დაბრუნდა, დედას მოეხვია და აღტაცებით უთხრა:

— დედა, წარმოიდგინე, ზედიზედ ოთხი სადილი შემოიტანეს: წვნიანი, შემწვარი, ტკბილი ქადა და ეკვა, და ოთხივე სადილი ერთად შეეჭამეთო.

ზამოცანა

ჩვენი მოხუცი ბერია
იმისი საქმე მნელია...
გარედ მაძაცობს, შინ შევა,
ცრემლები სცვივა ბევრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ე ბ უ ს ე ბ ი

(ნაუმ ხარაბაძისა)





მე-11 №-ში მოთავსებული რებუსის აღსნა:

1) ფარანს სანთელი უნდა,—2) ეს კაკალია.

რედაქტორი მ. ი. დემურია. გამომც. თ. პ. ი. თუმანიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ დღიური გაზეთი

„ამირანი"

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გაზეთის ფასი:

წლით	როგორც ქალაქში,	ისე ქალაქს გარედ	—7 მანეთი.
ნახევარი	წლით	„ „	„—4 მანეთი.
ერთი	თვით	„ „ „	„—90 კაპ.

მიიღება ხელის-მოწერა ყოველთვიურ სამეცნიერო პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ

„განათლება"-ზე

(წელიწადი პირველი)

წლიური ფასი ხელის-მომწერთათვის 5 მანეთი, ნახევარი წლით—3 მანეთი. სამი თვით 1. მან. 60 კაპ.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში; „ნაკადულის" რედაქციაში და „იდეალის" სტამბაში (კიკნაძესთან) ნიკოლოზის ქუჩა № 6.

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთში" ისიდორე კვიცარიძესთან.

открыта подписка на 1908 годъ

на газету

ЗАКАВКАЗЬЕ

ТРЕТІИ ГОДЪ ИЗДАНІЯ

ц о д п и с н а я ц ѣ н а:

Съ доставкой въ Тифлиссѣ:		Съ пересылкой въ другіе города	
на годъ	6 руб.—коп	на годъ	8 руб.—коп
на полгода. . .	3 руб. 50 коп	на полгода . . .	4 руб. 50 коп

Помѣсячно повсюду 75 коп., отдѣльный № 5 коп. Заграницей вдвое

Тифлиссъ Головинскій пр., д. Манташева, № 6.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1908 წლის იანვრიდან 1909 იანვრამდის.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

(წელიწადი მეოთხე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

პრემიები: 1-ლი, „**1908 წლის კედლის კალენდარი 12-ი სურათით**“. 2-რე, „**თომას თავგადასავალი**“ **მარკტვენისა.**

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი 36 წიგნისა რჩება ისევ ნ მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დაეკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად ყოს დაწერილი.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**